

**„ინტერნეტ-ბანკი იურიდიული პირებისათვის“ სისტემით
მომსახურების ზოგადი პირობები**

1. საერთო პირობები

1.1. ბანკი ვალდებულია განახორციელოს კლიენტის მომსახურება „ინტერნეტ-ბანკი იურიდიული პირებისათვის“ სისტემაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე „ინტერნეტ-ბანკი იურიდიული პირებისათვის“ სისტემით მომსახურების ზოგადი პირობებით (შემდგომში პირობები) გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

1.2. „ინტერნეტ-ბანკი იურიდიული პირებისათვის“ სისტემით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის სპეციალური ინტერნეტ-გვერდის <https://myhalyk.ge> ან/და www.halykbank.ge ბანკის აპლიკაციის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული საბანკო ინფორმაციის მიღებას, სხვადასხვა საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას, ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.

1.3. კლიენტი გადაიხდის გაწეული მომსახურების საფასურს, ოპერაციის შესრულების მომენტისათვის ბანკის ტარიფების შესაბამისად (შემდგომში ტარიფები), რაც დადგენილია ბანკის მიერ და განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე www.halykbank.ge ან დადგენილია წინასწარ და ცნობილია კლიენტისათვის;

1.4. ინტერნეტ-ბანკის სისტემის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება ამ პირობებში მოცემული და ოპერაციის განხორციელების დროისთვის ბანკის მიერ დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად.

1.5. ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურების მისაღებად კლიენტის უფლებამოსილმა წარმომადგენელ(ებ)მა ბანკს უნდა მიმართოს(ნ) განაცხადით, რომლის საფუძველზეც ბანკი სისტემაში დაარეგისტრირებს კლიენტს და მისი სისტემის ადმინისტრატორის მომხმარებელს 6.3 პუნქტში განსაზღვრული უფლებებით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია ინტერნეტ-ბანკის სისტემაში სხვადასხვა უფლებებით დაარეგისტროს სხვა მომხმარებლებიც.

1.6. კლიენტის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი კლიენტს ანიჭებს საშუალებას მის საბანკო ანგარიშებზე ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით განახორციელოს საბანკო ოპერაციები დისტანციურად და ამავე საშუალების გამოყენებით ბანკს წარუდგინოს განცხადება წინამდებარე დოკუმენტით (რომელიც გენერალური ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია განსაზღვრული საბანკო მომსახურების მიღებაზე. კერძოდ, კლიენტს (რომელიც წარმოდგენილია მისი ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლის/მომხმარებლების სახით) ეძლევა საშუალება:

- 1.6.1. მიიღოს საბანკო ინფორმაცია (კლიენტის ანგარიშების/მათი მახასიათებლების/მათზე რიცხული ნაშთების, კლიენტის სახელზე არსებული საბანკო პროდუქტების, საგადახდო ინსტრუმენტების და სხვა);
- 1.6.2. გასცეს დავალება სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე;
- 1.6.3. სისტემის ადმინისტრატორის მეშვეობით ინტერნეტ-ბანკის სისტემაში თავად განსაზღვროს ავტორიზაციის სქემა (ავტორიზაციის/ხელმოწერის ერთმაგი, ორმაგი ან შუალედური დონე იურიდიული პირის უფლებამოსილი პირ(ებ)ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაბამისად ბანკში წარმოდგენილი შესაბამისი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაციის საფუძველზე);
- 1.6.4. სისტემის ადმინისტრატორის მეშვეობით ინტერნეტ-ბანკის სისტემაში დაარეგისტროს/დაამატოს ახალი მომხმარებელ(ებ)ი და მიაწოდოს მათ სხვადასხვა უფლება მათი უფლებამოსილების ფარგლებში;
- 1.6.5. სისტემის ადმინისტრატორის მეშვეობით ინტერნეტ-ბანკის სისტემაში რეგისტრირებულ/არსებულ მომხმარებელ(ებ)ს მიაწოდოს/შეუცვალოს უფლებები მათი უფლებამოსილების ფარგლებში;
- 1.6.6. გახსნას საბანკო ანგარიშ(ებ)ი .
- 1.6.7. განახორციელოს ცვლილება კლიენტის სისტემის მომხმარებლის მონაცემებში(ტელეფონის ნომრის, ელ-ფოსტის და სხვა ცვლილება);
- 1.6.8. გამოხატოს ნება ახალი საბანკო პროდუქტის (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის) მიღებაზე (ბანკისათვის ელექტრონული განაცხადის გაგზავნის გზით);

1.7. კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ჩართვა და მომსახურება ხორციელდება ორგანიზაციისა და მისი უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო და უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკისთვის. ბანკი იტოვებს უფლებას დამატებით მოითხოვოს სხვა სახის დოკუმენტაცია კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ჩართვისა და მომსახურების მიზნით.

1.8. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში შესვლის დროს კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლის იდენტიფიკაცია ხდება “მომხმარებლის სახელით” (Username), რომელიც მინიჭებულია სისტემის მიერ და “პაროლით” (Password) (შემდგომში „საიდენტიფიკაციო მონაცემები“).

ინტერნეტ-ბანკის სისტემაში შესასვლელად საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად დამატებითი უსაფრთხოების მიზნით, სავალდებულოა დამატებით ერთჯერადი კოდის შეყვანა. ერთჯერადი კოდი გენერირდება SMS Pass ან eToken Pass-ის საშუალებით. ხედვის/შექმნის და/ან კონტროლის უფლების (ხელმოწერის გარეშე უფლების), ასევე ადმინისტრატორის/ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე მომხმარებლის და ოპერაციების/ქმედებების წარმოების უფლების მქონე მომხმარებლის ინტერნეტ-ბანკის სისტემაში დაშვება შესაძლებელია როგორც SMS Pass-ის, ისე eToken Pass-ის მეშვეობით.

1.9. მომხმარებლის პაროლი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 8 (რვა) სიმბოლოსგან და შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: დიდი ლათინური ასოები (A-დან Z-მდე), პატარა ლათინური ასოები (a-დან z-მდე), ციფრები (0-დან 9-მდე), სიმბოლოები (მაგ. !, #, \$).

1.10. ბანკი და კლიენტი (წარმოდგენილი სისტემის მომხმარებლების სახით) ვალდებული არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობა.

1.11. თუ ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის მისაღებად (<https://myhalyk.ge> ან/და მობაილ ბანკის აპლიკაციის) მომხმარებლის მიერ ზედიზედ სამჯერ არასწორად იქნა შეყვანილი მომხმარებლის სახელი ან/და პაროლი ან/და ერთჯერადი კოდი (მიღებული SMS Pass ან eToken Pass სისტემის მეშვეობით) , მაშინ სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა თვლის, რომ ხორციელდება უსაფრთხოების სისტემის დარღვევა და ავტომატურად ახდენს მომხმარებლის დაბლოკვას. ინტერნეტ-ბანკის სისტემა ავტომატურად განიბლოკება 30 წუთში. მომხმარებელმა/კლიენტის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა პაროლის განბლოკვის/შეცვლის მოთხოვნით პირადად უნდა მიმართოს ბანკს (ბანკის ნებისმიერი ფილიალის ოპერატორს) ან მომხმარებლის პაროლის აღდგენა მოახდინოს დისტანციურად ბანკის სპეციალური ინტერნეტ-გვერდის <https://myhalyk.ge> ან/და მობაილ ბანკის აპლიკაციის გამოყენებით.

1.12. ბანკი და კლიენტი (წარმოდგენილი სისტემის მომხმარებლების სახით) აღიარებენ, რომ:

- 1.12.1. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებული ელექტრონული ფორმატის დოკუმენტები იდენტურია შესაბამის ქაღალდის დოკუმენტებთან და წარმოშობს ქაღალდის დოკუმენტთან დაკავშირებულ ანალოგიურ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ეკისრებათ მხარეებს წინამდებარე პირობებით;
- 1.12.2. მათ მიერ ამ პირობების თანახმად გამოყენებული საკომუნიკაციო, ინფორმაციის შენახვისა და გადამუშავების სისტემები საკმარისია, რათა უზრუნველყოფილი იყოს საიმედო და ეფექტური მუშაობა ელექტრონული დოკუმენტების მიღების, გადაცემის, გადამუშავებისა და შენახვისას;
- 1.12.3. ინფორმაციის დაცვის სისტემა საკმარისია არასანქცირებული წვდომისაგან დასაცავად, ასევე ელექტრონული დოკუმენტების ნამდვილობისა და ავტორობის დასადასტურებლად.
- 1.12.4. ბანკის მიერ კლიენტის სისტემის ადმინისტრატორისათვის და/ან სისტემის ადმინისტრატორის მიერ ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე მომხმარებლისათვის სისტემაში ელექტრონულად მინიჭებული უფლებამოსილება იდენტურია ამ პირთა უფლებამოსილების დამდგენი, ბანკში არსებული დოკუმენტაციით განსაზღვრული უფლებების და ინტერნეტ-ბანკის სისტემაში წარმოშობს ანალოგიურ უფლებებს და მოვალეობებს;

1.13. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტ-ბანკის სისტემის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ შეტყობინებას, მათ შორის საგადახდო დავალებას, ვალუტის კონვერტაციაზე განაცხადს და სხვა სახის განაცხადს (მათ შორის ანგარიშის გახსნის, ანაზრის გახსნის, საკრედიტო ხაზი/კრედიტის აღების ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ, ასევე სადებეტო(ბიზნეს) ბარათების დამზადების, დაბლოკვის, ბარათის განაღდების დღიური ლიმიტის ცვლილების, მუდმივი დავალების/ავტომატური გადახდების რეგისტრაციის, მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილების) აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

1.14. დაკარგული/დავიწყებული მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის აღდგენის მიზნით კლიენტის უფლებამოსილი პირი (ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორი) ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განაცხადით (როგორც ბანკში მატერიალური ფორმით წარდგენილი, ისე ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან გამოგზავნილი) განახლებული საიდენტიფიკაციო მონაცემების გაგზავნის მოთხოვნით. შესაბამისი მომხმარებელი მიიღებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით არსებული მომხმარებლის სახელს ხელახლა, ხოლო ახალ პაროლს მობილურ ტელეფონზე სმს შეტყობინების სახით. თავად კლიენტის სისტემის ადმინისტრატორისათვის საიდენტიფიკაციო მონაცემების აღდგენა/ხელახლა გაგზავნა წარმოებს მისი ბანკში გამოცხადების გზით, ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლების პაროლის აღდგენა ასევე შესაძლებელია დისტანციურად ბანკის სპეციალური ინტერნეტ-გვერდის <https://myhalyk.ge> ან/და მობაილ ბანკის აპლიკაციის გამოყენებით..

1.15. ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელი ვალდებულია, ინტერნეტ-ბანკის სისტემაში პირველად შესვლისთანავე, ან ბანკის მოთხოვნისთანავე შეცვალოს პაროლი, არ გაანდოს პაროლი მესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები ტელეფონის და/ან კომპიუტერის ან სხვა მსგავსი ელექტრონული მოწყობილობის მეხსიერებაში.

1.16. ბანკი ვალდებულია მომხმარებლის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის თაობაზე შეტყობინების (ბანკის ფილიალებში ან კონტაქტ-ცენტრით) საფუძველზე უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურების შეჩერება (მომხმარებლის დაბლოკვა).

1.17. ბანკი უფლებამოსილია, რისკების შემცირების მიზნით, კლიენტის გადახდის ოპერაციებზე საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და/ან არ დაარეგისტრიროს კლიენტის სისტემის ადმინისტრატორი/არ გააქტიუროს (დააქცეპტოს) სისტემის სხვა მომხმარებელი ბანკში ამ პირის შესაბამისი უფლებების დამდგენი დოკუმენტაციის არ არსებობის და/ან კლიენტის მიერ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში.

1.18. კლიენტი ბანკს აძლევს უპირობო თანხმობას Co-Browsing ფუნქციის გამოყენებაზე, რაც გულისხმობს ბანკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლის მიერ კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე ხედვის უფლების გამოყენებას, კლიენტისათვის ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურების ეფექტური მხარდაჭერის მიზნით.

2. ტერმინები

2.1. დისტანციური საბანკო მომსახურება - ბანკის მიერ კლიენტისათვის მომსახურების გაწევა დისტანციურად, რომელიც მოიცავს ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურებას, SMS შეტყობინებებით მომსახურებას და მუდმივი დავალების/ავტომატური გადახდების ბანკისათვის გადაცემის სერვისს.

2.2. „ინტერნეტ-ბანკი იურიდიული პირებისათვის“ სისტემა (შემდგომში - ინტერნეტ-ბანკის სისტემა) - ბანკის მომსახურების სისტემა, რომელიც კლიენტს (წარმოდგენილს ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლ(ებ)ის სახით) საშუალებას აძლევს, დისტანციურად ინტერნეტის ქსელის მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტების კლიენტსა და ბანკს შორის გაცვლით, მართოს და განკარგოს თავისი საბანკო ანგარიშები 24 საათის განმავლობაში ბანკის ინტერნეტ-გვერდის <https://myhalyk.ge> ან/და მობაილ ბანკის აპლიკაციის გამოყენებით.

2.3. კლიენტის პროგრამულ-ტექნიკური საშუალებები - კომპიუტერული და მობილური მოწყობილობა და პროგრამული საშუალებები, რომელსაც კლიენტი იძენს თავის ხარჯზე.

2.4. მომხმარებლის სახელი - ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის/მომხმარებლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ერთ-ერთი პარამეტრი, რომელიც უნიკალურია.

2.5. პაროლი სისტემაში დაშვებისთვის - ასოების, ციფრების და/ან სიმბოლოების კომბინაცია, რაც გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიკაციისათვის სისტემაში წვდომის დასაშვებად ბანკის სპეციალური ინტერნეტ-გვერდის <https://myhalyk.ge> ან/და მობაილ ბანკის აპლიკაციის მეშვეობით..

2.6. დროებითი პაროლი - სისტემის მიერ დაგენერირებული ციფრების ან/და სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის მისაღებად მომხმარებლის პირველადი ავტორიზაციისათვის და რომელიც პირველივე გამოყენების შემდეგ მომხმარებლის მიერ უნდა შეიცვალოს.

2.7. ერთჯერადი კოდი - კოდი, რომელიც გამოიყენება მომხმარებლისათვის ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის დასაშვებად და/ან ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით ბანკში გასაგზავნი ელექტრონული დოკუმენტების/ქმედებების დასადასტურებლად. კოდი უნიკალურია, შედგება 4 (SMS კოდი) ან 6 (eToken Pass სისტემის მიერ დაგენერირებული) ციფრისგან და მოქმედია ერთჯერადი გამოყენებისთვის.

2.8. სისტემა SMS Pass - ერთჯერადი კოდების ავტონომიური გენერატორი, რომელიც ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის მისაღებად ახდენს ერთჯერადი კოდების გენერაციას და გაგზავნას მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) საშუალებით მომხმარებლის (მხოლოდ ხედვის/შექმნის/კონტროლის უფლების (ხელმოწერის უფლების გარეშე) მქონე) სისტემაში ადმინისტრატორის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

2.9. მოწყობილობა eToken Pass - ერთჯერადი კოდების ავტონომიური გენერატორი, რომელსაც გააჩნია უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი და სისტემაში დაკავშირებულია ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელთან. მომხმარებელი მოწყობილობის მეშვეობით თავად აგენერირებს ერთჯერად კოდს ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის მისაღებად და/ან ოპერაციის/ტრანზაქციის/ქმედების ავტორიზაციისთვის/ხელმოწერისთვის.

2.10. ბანკის სისტემის ადმინისტრატორი - პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი, რომლის ფუნქციონალურ მოვალეობებშიც შედის კლიენტებისა და ინტერნეტ-ბანკის სისტემის ფუნქციონალური ბლოკების განვითარება და მხარდაჭერა.

2.11. კლიენტის სისტემის ადმინისტრატორი - კლიენტის უფლებამოსილი პირი (დირექტორი/შესაბამისი უფლებების მქონე მინდობილი პირი), რომელსაც სისტემაში ენიჭება 6.3. პუნქტით განსაზღვრული

უფლებამოსილება (ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლების ადმინისტრირების, ავტორიზაციის სქემების არჩევის და სხვა უფლება). ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორი რეგისტრირდება ბანკის მიერ კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად და თითოეულ კლიენტზე დასაშვებია მხოლოდ ერთი ადმინისტრატორის რეგისტრაცია.

2.12. მომხმარებელი ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების გარეშე - ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს მხოლოდ დოკუმენტის შექმნის/ნახვის უფლება. აღნიშნული უფლება შეიძლება მიენიჭოს კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს.

2.13. მომხმარებელი ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლებით - ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლება. აღნიშნული უფლება შეიძლება მიენიჭოს კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ სისტემაში რეგისტრირებულ ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს (ანგარიშის განკვეთვაზე უფლებამოსილ პირი ან მინდობილობის საფუძველზე ამ უფლების მქონე პირი) ბანკის მხრიდან აქტივაციის შემდეგ ბანკში არსებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე და/ან მათი ბანკისათვის წარმოდგენის შემთხვევაში.

2.14. კონტროლის უფლების მქონე მომხმარებელი-ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს როგორც დოკუმენტის შექმნის/ნახვის, ასევე შექმნილი დოკუმენტის დამოწმების უფლება მის სრულ ავტორიზაციამდე/ხელმოწერამდე. აღნიშნული უფლება შეიძლება მიენიჭოს კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში რეგისტრირებულ პირს.

2.15. ავტორიზაციის დონე- ინტერნეტ-ბანკის სისტემაში შესრულებული ოპერაციების/ქმედებების ხელმოწერა/დადასტურება მომხმარებლისათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში. ინტერნეტ-ბანკის სისტემას გააჩნია ავტორიზაციის 3 დონე: ერთდონიანი, ორდონიანი და შუალედური ავტორიზაცია.

2.16. ერთდონიანი ავტორიზაცია -კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ არჩეული ავტორიზაციის სქემა, რომელიც გულისხმობს ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ოპერაციების/ქმედებების დადასტურებას ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე ერთი მომხმარებლის მიერ ერთპიროვნულად;

2.17. ორდონიანი ავტორიზაცია -კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ არჩეული ავტორიზაციის სქემა, რომელიც გულისხმობს ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ოპერაციების/ქმედებების დადასტურებას ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე ორი მომხმარებლის მიერ ერთობლივად;

2.18. შუალედური ავტორიზაცია -კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ არჩეული ავტორიზაციის სქემა, რომელიც გულისხმობს ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ოპერაციების/ქმედებების შუალედურ დადასტურებას მათ ხელმოწერამდე/ავტორიზაციამდე, შუალედური ავტორიზაცია შესაძლებელია არჩეულ იქნეს როგორც ერთდონიანი, ისე ორდონიანი ავტორიზაციის სქემის დროს.

2.19. Online chat - ინტერნეტ-ბანკის სისტემაში განთავსებული სასაუბრო, რომლის დახმარებითაც კლიენტის მომხმარებელს აქვს საშუალება 24 საათის განმავლობაში გაუგზავნოს შეტყობინება ბანკს. ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში მომხმარებლისგან მიღებულ საკითხებზე ბანკი რეაგირებას მოახდენს დღის განმავლობაში, ხოლო არასამუშაო საათებში მიღებულ საკითხებზე მომდენო სამუშაო დღეს.

2.20. ანგარიშსწორების პერიოდი - საოპერაციო დღის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახორციელებს ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით მიღებული კლიენტის დავალებების შესრულებას მიმდინარე დღის ვალუტირების თარიღით.

2.21. ელექტრონული დოკუმენტი- კლიენტის/ბანკის დისტანციური განკარგულება ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ოპერაციის/ქმედების განხორციელების თაობაზე, რომელიც გადაეცემა ბანკს/კლიენტს ელექტრონულად.

2.22. ელექტრონული საგადახდო საბუთი – კლიენტის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთი, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს.

2.23. ჯგუფური გადახდები(Bulk Payments)- ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლის მიერ სისტემაში ერთზე მეტი ელექტრონული საგადახდო საბუთის (საგადახდო დავალების) პაკეტურად შემდგარი ერთი საიდენტიფიკაციო ნომრით ფორმირებული ჯგუფი. სისტემაში შესაძლებელია 3 ტიპის (გადახდები ხელფასებისთვის, გადახდები ეროვნულ ვალუტაში, გადახდები უცხოურ ვალუტაში) ჯგუფური გადახდების შესრულება.

2.24. ლიმიტი - კლიენტის მიერ საბანკო პროდუქტით სარგებლობის და/ან ოპერაციის განხორციელებაზე, ბანკის მიერ დაწესებული ფინანსური, რაოდენობრივი ან სხვა სახის ლიმიტი/შეზღუდვა/აკრძალვა.

2.25. მომხმარებლის ლიმიტი- კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ მომხმარებლისათვის დაწესებული თანხობრივი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს შეუძლია ინტერნეტ-ბანკის სისტემაში გადახდის ოპერაციების შექმნა/ხელმოწერა/ავტორიზაცია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტით განსაზღვრული უფლებების (მათ შორის დადგენილი ლიმიტის) შესაბამისად.

2.26. არასაბანკო დღე - საქართველოში დადგენილი დასვენების დღეები და შაბათი-კვირა.

2.27. სამუშაო დღე - ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღეები.

2.28. საგადახდო ინსტრუმენტი - სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-ს მიერ ემიტირებული საგადახდო ბარათი(ბიზნეს ბარათი) საგადახდო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ანგარიშთან.

2.29. განაცხადი - ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით შექმნილი და კლიენტის მიერ მატერიალურად ან/და ელექტრონულად წარმოდგენილი ან/და დადასტურებული დოკუმენტი/ინფორმაცია რაც ადასტურებს კლიენტის ნებას შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის მისაღებად და ითვლება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

2.30. ტარიფები - ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ოპერაციის შესრულების დღისთვის ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოები.

2.31. ძლიერი ავთენტიფიკაცია - წესი, რომელიც გულისხმობს კლიენტის მიერ ავტორიზაციისას ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების მიღებისას ან/და ოპერაციის, მათ შორის გადახდის ოპერაციის დადასტურებისას ავთენტიფიკაციის ელემენტებიდან მინიმუმ ორი კატეგორიის ელემენტის გამოყენებას:

2.32. ავთენტიფიკაციის ელემენტი - მოიცავს შემდეგი ტიპის ელემენტებს :

1. **ცოდნის კატეგორიის ელემენტი** - პაროლი ან პასკოდი ან ნებისმიერი ისეთი მონაცემი/ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ კლიენტმა იცის და რომელიც ბანკს შეუძლია გამოიყენოს ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის
2. **ფლობის კატეგორიის ელემენტი** - ნებისმიერი ისეთი მონაცემი, რომელსაც მხოლოდ კლიენტი ფლობს, მათ შორის: ერთჯერადი კოდი, ასევე მობილური მოწყობილობა, რომელსაც კლიენტმა მიაწოდა სანდო მოწყობილობის სტატუსი და რომელიც ბანკს შეუძლია გამოიყენოს ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის
3. **უნიკალურობის კატეგორიის ელემენტი** - კლიენტის თითის ანაბეჭდი, სახე ან ნებისმიერი სხვა უნიკალური მასახიათებელი, რომელიც ბანკს შეუძლია გამოიყენოს ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის.
4. **ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია** - ავტორიზაცია, რომელის შესრულებულია ძლიერი ავთენტიფიკაციით

3. ინტერნეტ-ბანკის სისტემის ძირითადი ფუნქციონალი

- 3.1. მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების მართვა, არსებული ბალანსების, ხელმისაწვდომი/ბლოკირებული თანხის ნახვა, ანგარიშებზე არსებული შეზღუდვების დათვალიერება;
- 3.2. ბიზნეს ბარათების და საბარათე ანგარიშების მართვა, არსებული ბალანსების, ხელმისაწვდომი/ბლოკირებული თანხების ნახვა, ანგარიშებზე არსებული შეზღუდვების დათვალიერება;
- 3.3. დეპოზიტების/საანაზრე პროდუქტების მართვა;
- 3.4. პოს-ტერმინალების მართვა;
- 3.5. სესხების/საკრედიტო ხაზების/დოკუმენტური ოპერაციების მართვა;
- 3.6. საბანკო გადარიცხვები: საკუთარ ანგარიშებს შორის,სხვა პირის ანგარიშზე ბანკის შიგნით/ბანკის გარეთ;
- 3.7. ჯგუფური/სახელფასო გადარიცხვები;
- 3.8. კომუნალური და სხვა გადახდები;
- 3.9. მუდმივი საგადახდო დავალებების მართვა;
- 3.10. ავტომატური გადახდების მართვა;
- 3.11. ერთჯერადი/მრავალჯერადი შაბლონების მართვა;
- 3.12. შეტყობინების გაგზავნა/მიღება;
- 3.13. ორგანიზაციის მომხმარებელთა ადმინისტრირება;
- 3.14. ავტორიზაციის სქემის/დონეების/ლიმიტების განსაზღვრა/მართვა;
- 3.15. დოკუმენტაციის ატვირთვა/გაგზავნა ბანკში;
- 3.16. საბანკო პროდუქტის მიღებაზე განაცხადის გაგზავნა;
- 3.17. დავალებების ნახვა/საბუთის ბეჭდვა;
- 3.18. საბანკო ამონაწერების ნახვა/ბეჭდვა;
- 3.19. SMS/E-mail შეტყობინებების მართვა;
- 3.20. მომხმარებლის პარამეტრების მართვა;
- 3.21. კალენდრის მართვა;
- 3.22. ცნობარების მართვა.

4. ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების წესი

4.1. ბანკს და კლიენტს შეუძლიათ ელექტრონული ფორმით გადასცენ ერთმანეთს ან მიიღონ ნებისმიერი შემდეგი დოკუმენტი:

- 4.1.1. საგადახდო დავალება;
- 4.1.2. ჯგუფური გადახდები (Bulk Payments);

- 4.1.3. ანგარიშიდან ამონაწერი(დამოწმებული);
- 4.1.4. წინასწარი ამონაწერი (დაუმოწმებელი);
- 4.1.5. განაცხადი საერთაშორისო გადარიცხვაზე;
- 4.1.6. განაცხადი ვალუტის კონვერტაციაზე;
- 4.1.7. საკრედიტო ხაზის/სესხის მოთხოვნის განაცხადი;
- 4.1.8. სესხის წინსწრებით დაფარვის შესახებ განაცხადი;
- 4.1.9. სადებეტო (ბიზნეს) ბარათის დამზადების განაცხადი;
- 4.1.10. ბარათის დაბლოკვაზე განაცხადი;
- 4.1.11. მუდმივი დავალების/ავტომატური გადახდების რეგისტრაციის განაცხადი;
- 4.1.12. მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილების განაცხადი;
- 4.1.13. ანგარიშის/ანაზრის გახსნის განაცხადი;
- 4.1.14. ბიზნეს ბარათის განაღდებას დღიური ლიმიტის ცვლილების განაცხადი;
- 4.1.15. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა ოპერაციის განხორციელებისთვის და/ან შეიძლება დამატებით იქნას მოთხოვნილი ბანკის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 4.2.** კლიენტი ბანკს ავალებს და უფლებას აძლევს ბანკთან ინტერნეტ-ბანკის სისტემით კავშირისას:
- 4.2.1. კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მისი ანგარიშების/საბანკო პროდუქტების შესახებ, ასევე ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ.
- 4.2.2. კლიენტის სისტემის ადმინისტრატორისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ჩართული მომხმარებლების და მათზე მიწიჭებული უფლებების(მათ შორის დაწესებული ლიმიტების) შესახებ;
- 4.2.3. კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლის დავალებით შეასრულოს ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურების ფარგლებში ამ მომხმარებლის უფლებამოსილების გათვალისწინებით ბანკის მიერ დაშვებული ოპერაციები ან/და ქმედებები.
- 4.3.** ელექტრონული დოკუმენტების გაფორმების თაობაზე მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას (შემდგომში - კანონმდებლობა) და გულისხმობს ელექტრონული დოკუმენტების რეკვიზიტების შესაბამისობას (რომელსაც განსაზღვრავს ბანკი) ქალაქის მატარებელზე შესრულებულ დედნებთან.
- 4.4.** ელექტრონული დოკუმენტი შესასრულებლად არ მიიღება ან ბანკი იტოვებს უფლებას არ შეასრულოს ასეთი დოკუმენტი, თუ:
- 4.4.1. იგი სისტემაში არასანქცირებულია (დაუდასტურებელია) მომხმარებლის მიერ.
- 4.4.2. იგი სისტემაში ფორმირებულია და/ან სანქცირებულია არასათანადო უფლების მქონე მომხმარებლის მიერ;
- 4.4.3. იგი დუბლირებულია ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ან ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- 4.4.4. იგი გაფორმებულია არასრულად/არასათანადოდ და/ან არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
- 4.4.5. ელექტრონული დოკუმენტის დამუშავებისას დამუშავებელი სისტემა იძლევა შეტყობინებას რომელიმე ზემოთხსენებული მიზეზის შესახებ, მიმღები მხარე (ბანკი) უფლებამოსილია არ მიიღოს შესასრულებლად მიღებული ელექტრონული დოკუმენტი.
- 4.4.6. კლიენტის მიერ ბანკისათვის არ იქნება წარდგენილი ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები (რაც აუცილებელია ბანკისათვის კლიენტისგან მიღებული დავალების შესასრულებლად).
- 4.5.** იმ შემთხვევაში თუ საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა ნორმატიული აქტებით მოითხოვება გადარიცხვის საფუძველის დამადასტურებელი დოკუმენტის ბანკში წარმოდგენა და კლიენტს არ შეუძლია/ვერ ახერხებს მიაწოდოს ბანკს შესაბამისი დოკუმენტები სისტემის/ელ. ფოსტის მეშვეობით, მაშინ კლიენტმა უნდა მიიღოს ზომები ამ დოკუმენტების მატერიალური ფორმით ბანკისათვის დროულად მისაწოდებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის მიერ საგადახდო დავალება არ შესრულდება.

5. ელექტრონული საგადახდო დავალებების შესრულების წესი

№	ხელმისაწვდომი ფინანსური ოპერაციის დასახელება და მისი შესრულების ფარგლები	საანგარიშსწორებო პერიოდი (მიმდინარე დღის ვალუტირებით)
ოპერაციები ბანკის შიგნით		
1	გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის ნებისმიერ ვალუტაში	ულიმიტოდ 22:00 სთ-მდე
2	კონვერტაცია საკუთარ ანგარიშებს შორის (GEL, USD, EUR, GBP, RUB, KZT)	ლიმიტის ფარგლებში (3000 ლარი) 00:00 სთ-დან 22:00 სთ-მდე

		ულიმიტოდ	18:30 სთ-მდე
3	გადარიცხვები სხვა კლიენტის ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	ავტომატური ავტორიზაციის ლიმიტის ფარგლებში	22:00 სთ-მდე
		ლიმიტის ზევით თანხაზე	18:00 სთ-მდე
4	გადარიცხვები სხვა კლიენტის ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	ულიმიტოდ	18:00 სთ-მდე
ოპერაციები ბანკის გარეთ			
5	გადარიცხვები ეროვნულ ვალუტაში	ულიმიტოდ	17:30 სთ-მდე
6	გადარიცხვები უცხოურ ვალუტაში (USD, EUR, KZT, RUB)	ულიმიტოდ	14:30 სთ-მდე
კომუნალური და სხვა გადახდები			
7	კომუნალური და სხვა გადახდები	ულიმიტოდ	23:30 სთ-მდე

- მეწარმე პირის მაგივრად გადახდა დასაშვებია მხოლოდ: თუ გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა სახელმწიფო ორგანო.
- უცხოურ ვალუტაში გადარიცხული თანხების მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის ვადა და სხვა დეტალები დამოკიდებულია შუამავალი და/ან მიმღები ბანკის მუშაობის სპეციფიკაზე.
- ეროვნულ ვალუტაში მიღებული დავალებების ავტომატური ავტორიზაცია ვრცელდება იმ დავალებებზე, რომელთა თანხა $\leq 100\,000$ (ასი ათას) ლარზე.
- სს „ხალიკ ბანკი საქართველოში“ გახსნილი საბარათე ანგარიშებიდან/ანგარიშებზე შესრულებული (დადასტურებული) ოპერაციები მიუხედავად ანგარიშსწორების პერიოდისა, ხელმისაწვდომია ონ-ლაინ რეჟიმში.
- ჯგუფურ გადახდებში (Bulk Payments) შემაჯალი თითოეული დავალების შესრულებაზე ვრცელდება ამ თავში განსაზღვრული ყველა პირობა;

5.1. მიუხედავად დადგენილი ანგარიშსწორების პერიოდისა, ცხრილში მითითებული დროის შემდეგ კლიენტის დავალებების მიღება გაგრძელდება შეუფერხებლად, ჩვეულებრივ რეჟიმში. მათი დამუშავება/შესრულება მოხდება მომდევნო სამუშაო დღის თარიღით, ხოლო ბანკის შიგნით განხორციელებული ოპერაციები - მომდევნო კალენდარული დღის თარიღით (ხალიკ ბანკის სამუშაო დღე).

6. კლიენტის ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელთა ადმინისტრირება

6.1. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში მომხმარებელთა უფლებები განისაზღვრება შემდეგი სქემით

№	მომხმარებლის ტიპი/ ROLE	ფუნქციები	მომხმარებელი	რეგისტრირდება
1	ადმინისტრატორი/ Admin	მომხმარებლების დამატება, უფლებების მინიჭება	ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი	ბანკის მიერ
2	შექმნის უფლებით/ Edit	ხედვის უფლება/ ელ.დოკუმენტების და/ან გადარიცხვების შექმნა	ორგანიზაციის სხვა თანამშრომელი/ უფლებამოსილი პირი	კლიენტის ადმინისტრატორის მიერ
3	კონტროლის უფლებით/Controller	შექმნილი ელ.დოკუმენტების/ გადარიცხვების დამატებით ავტორიზაცია კონტროლის მიზნით (შუალედური ავტორიზაცია)	ორგანიზაციის სხვა თანამშრომელი/ უფლებამოსილი პირი	კლიენტის ადმინისტრატორის მიერ
4	I ხელმოწერი / ACCEPTANT I	ელ.დოკუმენტების/ გადარიცხვების ხელმოწერა/ ავტორიზაცია. (ერთდონიანი/ორდონიანი ავტორიზაცია)	ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი	კლიენტის ადმინისტრატორის მიერ

საჯარო				
5	II ხელმოწერი / ACCEPTANT 2	ელ.დოკუმენტების/გადარიცხვების ხელმოწერა/ავტორიზაცია. (ორდონიანი ავტორიზაცია)	ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი	კლიენტის ადმინისტრატორის მიერ
6	გაგზავნის უფლებით/ Sender*	ხელმოწერილი/ავტორიზებული ელ.დოკუმენტების/ გადარიცხვების გაგზავნა ბანკში	ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი	კლიენტის ადმინისტრატორის მიერ
7	გამოთხოვის უფლებით/RECALL*	საკუთარი ავტორიზაციის/ ხელმოწერის გაუქმება/ მოხსნა/გამოთხოვა	ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი	კლიენტის ადმინისტრატორის მიერ

*ეს უფლება შესაძლებელია გააქტიურდეს მხოლოდ ხელმოწერის უფლების მქონე მომხმარებლებზე.

- 6.2. ბანკი კლიენტს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს მისი სისტემის ადმინისტრატორის (არაუმეტეს ერთი) ვინაობა და იღებს ვალდებულებას კლიენტის მიერ წერილობითი განაცხადის საფუძველზე განახორციელოს ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორის რეგისტრაცია და აქტივაცია სისტემაში ამ პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (ორგანიზაციის დირექტორი, დირექტორის მინდობილი პირი) დამდგენი დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 6.3. ბანკი კლიენტის სისტემის ადმინისტრატორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ავტორიზაციის სქემა/დონეები და არჩეული სქემის მიხედვით განახორციელოს ახალი მომხმარებლის დამატება ინტერნეტ-ბანკის სისტემაში, მასზე და/ან არსებულ მომხმარებელზე უფლებების მინიჭება/ცვლილება, ასევე ახალი/არსებული მომხმარებლისათვის ორგანიზაციის ანგარიშებზე/საბანკო პროდუქტებზე წვდომის მინიჭება/ცვლილება და/ან გადარიცხვის თანხობრივი ლიმიტის დაწესება/განსაზღვრა.
- 6.4. კლიენტის ადმინისტრატორის მიერ ხელმოწერის უფლების მქონე მომხმარებლის დამატება/არსებულ მომხმარებელზე ამავე უფლების მინიჭება ბანკის მხრიდან საჭიროებს აქცეპტს, ხოლო ხედვის/შექმნის/კონტროლის უფლების მქონე (ხელმოწერის უფლების გარეშე) მომხმარებელი აქტიურდება ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ადმინისტრატორის მიერ რეგისტრაციისთანავე.
- 6.5. კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ახალი მომხმარებლის დამატებისას და/ან არსებულ მომხმარებელზე უფლებების ცვლილებისას, ბანკის მიერ მომხმარებლის აქტივაცია ხორციელდება ბანკის სამუშაო საათების განმავლობაში.
- 6.6. დასაშვებია ერთი და იგივე მომხმარებელს (მათ შორის ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორს) მინიჭებული ჰქონდეს 6.1. პუნქტში მითითებული მომხმარებელთა ყველა ან რამდენიმე უფლება ერთად;
- 6.7. ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე მომხმარებლის აქტივაცია ხორციელდება მხოლოდ კლიენტის უფლებამოსილი პირისათვის ბანკში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტაციის არსებობის და/ან კლიენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბანკისათვის წარდგენის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ გააქტიუროს მომხმარებელი.
- 6.8. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომხმარებლის აქტივაციაზე, იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ამ მომხმარებლისათვის დაწესებული გადარიცხვის თანხობრივი ლიმიტი აჭარბებს/არ შეესაბამება ბანკში მისი უფლებამოსილების დამდგენ დოკუმენტაციაში მითითებულ ლიმიტს.
- 6.9. კლიენტი არ არის ვალდებული ხედვის/შექმნის/კონტროლის უფლების მქონე მომხმარებლების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ დოკუმენტაცია წარადგინოს ბანკში, ასეთი მომხმარებლების აქტივაციას ბანკი ახორციელებს კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე.
- 6.10. ბანკი ვალდებულია მომხმარებლის სახელი და დროებითი პაროლი გაუგზავნოს მომხმარებელს სისტემაში აქტივაციისთანავე წინამდებარე დოკუმენტში მითითებული წესით, ხოლო ერთჯერადი კოდების მაგენერირებელი მოწყობილობა eToken Pass გადასცეს პირადად მას და/ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ადმინისტრატორის/ხელმოწერის/ავტორიზაციის/ხედვის უფლების/კონტროლის (ხელმოწერის უფლების გარეშე) უფლების მქონე მომხმარებლისათვის ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურება ხორციელდება როგორც eToken Pass, ასევე SMS Pass მოწყობილობით კლიენტის არჩევანის მიხედვით.
- 6.11. კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს მომხმარებლის აქცეპტირებისათვის ბანკის მოთხოვნების შესაბამისად სავალდებულო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებლის აქტივაცია ბანკის მიერ არ განხორციელდება.

7. ბანკისა და კლიენტის უფლება-მოვალეობანი

7.1. ბანკი და კლიენტი ვალდებული არიან:

- 7.1.1. ელექტრონული დოკუმენტების გამოყენებისას იხელმძღვანელონ კანონმდებლობით და მოცემული პირობებით.
- 7.1.2. გამოიყენონ კომუნიკაციების, დამუშავების, ინფორმაციის შენახვისა და დაცვის სისტემებისთვის მხოლოდ მუშა მდგომარეობაში არსებული და გამართული მოწყობილობები, რომლებიც შემოწმებულია კომპიუტერული ვირუსებისა და იმ პროგრამების არარსებობაზე, რომლებსაც შეუძლიათ მიაყენონ ზიანი სისტემას, ბანკს, ან კლიენტს.
- 7.1.3. არ გაუმჟღავნონ მესამე მხარეს (კანონმდებლობითა და მხარეთა დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), ინფორმაციის დაცვის კონკრეტული საშუალებები, რაც გამოიყენება სისტემაში.
- 7.1.4. დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს კომუნიკაციის სისტემებში ყველა არასანქცირებული შეღწევისა და წვდომის ექვის გაჩენისას, ასევე პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომუნიკაციის, ინფორმაციის შენახვისა და დაცვის სისტემების დაკარგვის, გატაცების (დია/ფარული) ან დაზიანების შესახებ, რათა მოხდეს პაროლების შეცვლა და განხორციელდეს მეორე მხარესთან შეთანხმებული სხვა ქმედებები მუშა მდგომარეობაში ზემოხსენებული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების შესანარჩუნებლად.
- 7.1.5. მეორე მხარისაგან ინტერნეტ-ბანკის სისტემაში არასანქცირებული შეღწევის ექვის წარმოქმნისას ან აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღებისას დაუყოვნებლივ მოხდება ინტერნეტ-ბანკის სისტემის ბლოკირება.
- 7.1.6. უზრუნველყოს ელექტრონულ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.
- 7.1.7. დოკუმენტები (მოთხოვნები, განაცხადები, შეტყობინებები და ა.შ.) ერთმანეთს მიაწოდონ ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით ან მხოლოდ ბანკში დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტით.
- 7.2. მხარეებს უფლება აქვთ ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში განახორციელონ საკომუნიკაციო, დამუშავების, შენახვისა და ინფორმაციის დაცვის სისტემების შეცვლა.
- 7.3. ბანკი ვალდებულია:**
- 7.3.1. კლიენტის მიერ საბარათე ანგარიშის გახსნის შემთხვევაში გაუაქტიუროს დისტანციური მომსახურება (მათ შორის ინტერნეტ-ბანკის სისტემა, SMS/ელ-ფოსტით შეტყობინების სერვისი, მუდმივი დავალება, ავტომატური გადახდების სერვისი) ბანკის მიერ დადგენილი პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.
- 7.3.2. შეასრულოს კლიენტის ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ დავალებები (განკარგულებები), და/ან კლიენტის მიერ ინიცირებული სხვა დავალებები, რომლებიც გადაცემულია ბანკში ინტერნეტ-ბანკის სისტემის საშუალებით.
- 7.3.3. შეინახოს ელექტრონული დოკუმენტები არანაკლებ 6 (ექვსი) წლის განმავლობაში.
- 7.3.4. უზრუნველყოს ინტერნეტ-ბანკის სისტემით სარგებლობის წესებში ცვლილებების და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.halykbank.ge.
- 7.3.5. ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში ბანკისათვის მისაღები ფორმით და საკომუნიკაციო არხით აცნობოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე.
- 7.4. ბანკის მიერ გამოცხადებული სამუშაო საათების განმავლობაში მიიღოს და შეასრულოს ინტერნეტ-ბანკის სისტემაში საბანკო ტრანზაქციის გაუქმება/შეჩერებასთან დაკავშირებული კლიენტის მომართვა, რომელიც უნდა იქნას გამოგზავნილი ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან, ან აღნიშნულის თაობაზე ბანკი სათანადო წესით იყოს ინფორმირებული მომართვით გათვალისწინებული საბანკო ტრანზაქციის განხორციელებამდე.
- 7.5. ბანკის სამუშაო საათებში შეასრულოს ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან დამატებული მომხმარებლების და მათი უფლებების ცვლილების აქტივაცია; მომხმარებლის დეაქტივაციისას/გაუქმებისას, გააქტიურებაზე დასტურის შეფერხებისას (შესაბამისი დოკუმენტაციის ბანკისათვის წარმოდგენამდე) განახორციელოს კლიენტთან დაკავშირება და მისი ინფორმირება ბანკის მოთხოვნების/ქმედების თაობაზე მიზეზის განმარტებით.
- 7.6. ბანკი უფლებამოსილია:**
- 7.6.1. უარი თქვას ელექტრონული დოკუმენტების შესასრულებლად მიღებაზე წინამდებარე პირობების 4.5. პუნქტში მოცემული გარემოებების საფუძველზე.
- 7.6.2. უარი თქვას მომხმარებლის დამატებაზე/გააქტიურებაზე და უფლებების მინიჭებაზე კლიენტის მხრიდან ბანკის მიერ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის წარმოდგენლობისას და/ან არასათანადო წესით/ფორმით წარმოდგენისას;
- 7.6.3. მოახდინოს საკომისიო სარგებლის უაქცეპტოდ ჩამოწერა კლიენტის სისტემაში მომსახურებისათვის კლიენტის საბარათე ან სხვა საბანკო ანგარიშიდან ბანკის ტარიფების შესაბამისად.
- 7.6.4. დავალიანებების უაქცეპტო ამოღებაზე გენერალური ხელშეკრულების მიხედვით ბანკში გახსნილ ანგარიშებზე.

- 7.6.5. შეიტანოს ცვლილებები სისტემის დაცვის მექანიზმებში საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 7.6.6. შეიტანოს ცვლილებები საკომისიო სარგებლის ტარიფებში და აცნობოს კლიენტს ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე აღნიშნულის შესახებ.
- 7.6.7. მოახდინოს მომხმარებლის ბლოკირება თუ:
- ზედიზედ სამჯერ დროის ნებისმიერი ინტერვალით მომხმარებლის მიერ ბანკის სპაციალურ ინტერნეტ გვერდზე <https://myhalyk.ge> ან და მობაილ ბანკის აპლიკაციაში არასწორად იქნება შეყვანილი პაროლი და/ან მომხმარებლის სახელი, ან ხდება ინტერნეტ-ბანკის სისტემის ხშირი ბლოკირება;
 - თუ ბანკს აქვს ეჭვი, რომ ადგილი აქვს თაღლითობას ან უკანონო ქმედებას.
- 7.6.8. კლიენტის განზღოვვა, 7.6.7. პუნქტის მიხედვით დაბლოკილი მიზეზებიდან გამომდინარე, გადაწყდება კლიენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბანკში მოსვლით და საკითხის გამოკვლევით.
- 7.6.9. გააუმჯობესოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების ან პროდუქტების მახასიათებლები. კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე (გადარიცხვები, კონვერტაციები და ა.შ) ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები (ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა და ა.შ), რის შესახებაც ბანკი ვალდებულია 30 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე კლიენტს ინტერნეტ-ბანკის სისტემის და/ან ბანკისათვის მისაღები სხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, აგრეთვე ინფორმაციის ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.halykbank.ge) და ბანკის ფილიალებში ინფორმაციის განთავსებით.
- 7.6.10. თუ ბანკს არ წარედგინა 7.7.3. პუნქტით დადგენილი კლიენტის შეტყობინება, მაშინ არასწორი რეკვიზიტებით გადაცემული საგადახდო დავალება ჩაითვლება შესასრულებლად მიღებულად და ბანკი პასუხს არ აგებს მისი შესრულების შედეგად დამდგარ ფაქტზე. თუ კლიენტის მიერ შეცდომით გადაცემული საგადასახდო დავალების გამო ბანკმა განიცადა ზარალი, კლიენტი პასუხისმგებელია ბანკისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზარალის ანაზღაურებაზე.
- 7.6.11. არ მიიღოს შესასრულებლად ჯგუფური გადახდები (Bulk Payments) თუ კლიენტის ანგარიშზე არსებული ნაშთი ჯგუფში შემავალი გადახდების ჯამური თანხაზე (გადახდის შესასრულებლად საჭირო საკომისიოს გათვალისწინებით) ნაკლებია.
- 7.6.12. არ მიიღოს შესასრულებლად ჯგუფური გადახდები (Bulk Payments) ანგარიშზე ჯგუფში შემავალი გადახდების ნაწილობრივ შესასრულებლად (რამდენიმე გადახდის) საკმარისი ნაშთის არსებობის მიუხედავად;
- 7.6.13. ოპერაციის განხორციელებისათვის კლიენტს მოსთხოვოს კანონმდებლობით/ბანკის შიდა მარეგლამენტირებული წესებით გათვალისწინებული დოკუმენტი და აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში არ მისცეს ოპერაციის განხორციელების უფლება.
- 7.6.14. თავად განსაზღვროს გადამხდელის მიერ წარსადგენი საგადახდო დავალების სტრუქტურა და რეკვიზიტები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადახდო დავალების შესრულებას.
- 7.6.15. მიზეზის აუხსნელად კლიენტს უთხრას უარი ანგარიშის გახსნაზე.
- 7.7. კლიენტი ვალდებულია:**
- 7.7.1. წარუდგინოს ბანკის წესების გათვალისწინებით შევსებული ხელმოწერილი განაცხადი ბანკის სისტემაში ჩართვის და ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორის მომხმარებლის სისტემაში რეგისტრაციის მოთხოვნით.
- 7.7.2. დროულად, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს ბანკს სისტემაში მომხმარებლების დასარეგისტრირებლად, მომხმარებელთა აქტივაციისთვის და უფლებების მისანიჭებლად და/ან ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორის მიერ მომხმარებლისათვის სისტემაში მინიჭებული უფლებების აქცეპტირებისათვის, სათანადო დოკუმენტაცია ბანკის მიერ დადგენილი წესების/პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.
- 7.7.3. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ ბანკისთვის შესასრულებლად გადაცემული საგადასახდო დავალება შეცდომითაა გადაცემული, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს აღმოჩენილი შეცდომის შესახებ. კლიენტმა შეტყობინებაში უნდა ასახოს საგადასახდო დავალების რეკვიზიტები და მის მიერ გამოვლენილი არასწორი რეკვიზიტები.
- 7.7.4. არ გადასცეს ბანკს ისეთი დავალება, რომელიც კანონმდებლობით არ არის დაშვებული.
- 7.7.5. მოამზადოს სათანადო ექსპლუატაციისთვის პროგრამულ-ტექნიკური საშუალებები (და საკუთარი სახსრებით შეინარჩუნოს მუშა მდგომარეობაში), რომლებიც გამოიყენება ამ პირობების შესასრულებლად.
- 7.7.6. კორექტულად/სწორად ისარგებლოს პაროლით და eToken Pass მოწყობილობით ბანკის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად.

- 7.7.7. აუნაზღაუროს ბანკს ყველა ზარალი/ზიანი, რაც მიადგება ბანკს კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით და საინსტრუქციო მასალების დაუცველობის შედეგად.
- 7.7.8. წინამდებარე პირობების შესაბამისად გაგზავნოს ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან იმ დოკუმენტების ელექტრონული ასლები (ან წარადგინოს პირადად), რაც ადასტურებს შესასრულებელი ოპერაციის გადახდის საფუძველს. ასევე ოპერაციის შესასრულებლად საჭირო სხვა დოკუმენტები ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში.
- 7.7.9. კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას მასზედ, რომ საბარათე ანგარიშის გახსნის/ბარათის დამზადების შემთხვევაში გაუაქტიურდეს დისტანციური მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკში დადგენილი პირობებისა და ტარიფების შესაბამისად.
- 7.7.10. კლიენტი აცხადებს უპირობო თანხმობას მასზედ, რომ, ბანკის მიმართ წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავალიანების, მათ შორის მიუღებელი საკომისიოების და მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების (მათ შორის მიუღებელი მოგების) შესაბამისი თანხა უაქცეპტოდ იქნას ამოღებული ბანკის მიერ კლიენტის ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან.
- 7.7.11. იმ მობილური ტელეფონის/eToken Pass-ის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში, რომელზეც ხდება ერთჯერადი კოდების გაგზავნა/გენერირება, მომხმარებელი დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ბანკში ინტერნეტ-ბანკის სისტემის ბლოკირების მოთხოვნით, ასევე უნდა დააფიქსიროს მობილური ტელეფონის ახალი ნომერი ან მოითხოვოს ახალი eToken Pass. მომხმარებელი უფლებამოსილია ინტერნეტ-ბანკის სისტემასთან წვდომის დაბლოკვა მოითხოვოს სატელეფონო შეტყობინებითაც მისი იდენტიფიცირების/ვერიფიკაციის შესაძლებლობის შემთხვევაში.
- 7.7.12. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში დაბლოკილ მომხმარებელზე წვდომის აღსადგენად მიმართოს მომსახურე ფილიალს პირადად და ბანკის მიერ მისი სრული იდენტიფიცირების შემთხვევაში მოხდება წვდომის აღდგენა. ხედვის/შექმნის/კონტროლის უფლების მქონე და/ან სხვა მომხმარებლებისათვის (გარდა ადმინისტრატორისა) ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის აღდგენა დასაშვებია ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან გამოგზავნილი მოთხოვნის (განსაზღვრული მომხმარებლის ზუსტი რეკვიზიტების მითითებით) საფუძველზე.
- 7.8. კლიენტი უფლებამოსილია:**
- 7.8.1. ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურება ბანკისთვის განაცხადის წარდგენით.
- 7.8.2. ნებისმიერ დროს გააუქმოს/დაარეგისტრიროს ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელი და/ან განახორციელოს ამ მომხმარებლის უფლებების ცვლილება მისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- 7.8.3. საკუთარი გადაწყვეტილებით შეარჩიოს ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის ხერხი SMS Pass-ით/eToken Pass -ით მომსახურება ხედვის/შექმნის/კონტროლის უფლების მქონე მომხმარებლისთვის რაც აისახება სისტემის ადმინისტრატორის მიერ ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან გამოგზავნილი შეტყობინებაში, ან სისტემის ადმინისტრატორის არჩევის შემთხვევაში-კლიენტის უფლებამოსილი პირის მიერ ბანკისათვის წერილობით წარდგენილ განაცხადში (ადმინისტრატორის/ხელმოწერის/ავტორიზაციის უფლების მქონე მომხმარებლებისათვის ინტერნეტ-ბანკის სისტემაზე წვდომის დაშვება როგორც eToken Pass, ასევე SMS Pass მოწყობილობით კლიენტის არჩევანის მიხედვით).
- 7.8.4. მოითხოვოს კოდური სიტყვის დაფიქსირება სატელეფონო იდენტიფიკაციისთვის.
- 7.8.5. თავად განსაზღვროს ჯგუფური გადახდების ტიპი (შემადგენელი დავალების სახეობიდან/შინაარსიდან გამომდინარე), მოცულობა და ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან შესასრულებლად გადასცეს ბანკს.
- 7.8.6. ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით წინასწარ განსაზღვრული პირობების შესაბამისად შესასრულებლად გადასცეს ბანკს მუდმივი დავალება/ავტომატური გადახდების დავალება;

8. პასუხისმგებლობა

- 8.1.** ამ პირობებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე პირობების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2.** ბანკი და კლიენტი არ აგებენ პასუხს მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე, ელექტრონული დოკუმენტების გამოყენებისას და შეცდომის შემცველი ელექტრონული დოკუმენტების შესრულებისას თუ ეს დოკუმენტები სათანადო წესითაა გაფორმებული და მიწოდებული ერთი მხარის მიერ, ხოლო შემოწმებულია და მიღებულია მეორე მხარის მიერ.
- 8.3.** კლიენტის სისტემის ადმინისტრატორის უფლებების არასათანადოდ/არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში ბანკისათვის მიყენებული ზარალის და/ან ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს და ბანკი არ აგებს პასუხს ზარალზე და/ან ზიანზე, რომელიც ამ შემთხვევის დადგომისას მიადგება კლიენტს თუკი ინტერნეტ-ბანკის სისტემის ადმინისტრატორის მომხმარებლის რეგისტრაცია/აქტივაცია

ბანკის მხრიდან განხორციელდა გენერალური ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული გარიგებებისა და კლიენტის უფლებამოსილი პირის შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გათვალისწინებით.

8.4. საანგარიშსწორებო ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე საანგარიშსწორებო ოპერაციების, მიღებული განაცხადების დროულ და სწორად შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს, გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად.

8.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე ან ზიანზე, რომელიც მიადგება კლიენტს ნებისმიერი ისეთი ქმედების გამო რაც განხორციელდება მესამე პირთა (მათ შორის და არა მხოლოდ კლიენტის მიერ), რომლებისთვისაც ნებისმიერი მიზეზით ხელმისაწვდომი გახდება მომხმარებლის გასაღებები/პაროლები, მათ შორის, მომხმარებლის მხრიდან განზრახ გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით.

8.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი გადარიცხვების შეუსრულებლობაზე:

8.6.1. თუ ასეთი უფლება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

8.6.2. თუ არ იქნება დაკმაყოფილებული წინამდებარე პირობების 4.5. პუნქტში მითითებული ბანკის მოთხოვნა, ბანკის მიერ გადარიცხვის შეუსრულებლობით/უარის თქმით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

8.6.3. თუ გადარიცხვის თანხა (მათ შორის ჯგუფური გადარიცხვების ჯამური თანხა) აღემატება კლიენტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

9. სხვა პირობები

9.1. პირობები ძალაშია კლიენტის მიერ დისტანციური საბანკო მომსახურების მიღების შესახებ იურიდიული პირებისათვის განაცხადის შევსების და შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ის თარიღის დღიდან.

9.2. მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ კლიენტი უარს იტყვის მომსახურებაზე პირობებში მითითებული ფორმით. იგი ვალდებულია შეასრულოს ბანკის წინაშე ამ პირობების საფუძველზე წარმოშობილი ყველა ფულადი ვალდებულება.

9.3. ინტერნეტ-ბანკის სისტემით მომსახურება წყდება იურიდიული პირის მიერ საბანკო ანგარიშების დახურვისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე განაცხადით და სისტემაში მომხმარებლის დეაქტივაციით.

9.4. eToken Pass - ით სარგებლობისას, ინტერნეტ-ბანკის სისტემის გაუქმების შესახებ განაცხადის შევსების დროს კლიენტი/მომხმარებელი უბრუნებს ბანკს eToken Pass მოწყობილობას.

9.5. წინამდებარე პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.halykbank.ge განთავსდება შეტყობინება ცვლილების შინაარსისა და ცვლილების ძალაში შესვლის შესახებ თარიღის მითითებით. თუ კლიენტისთვის მიუღებელია ცვლილება იგი უფლებამოსილია შეწყვიტოს მომსახურება, რის თაობაზეც მისი უფლებამოსილი პირი უნდა გამოცხადდეს ბანკში და ხელი მოაწეროს განაცხადს მომსახურების შეწყვეტის შესახებ.

10. შემოსული განცხადების დამუშავება ბანკის მიერ

10.1. ინტერნეტ-ბანკის სისტემის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ შეტყობინებას, მათ შორის საგადასახდო დავალებას, ნებისმიერ განაცხადს (მათ შორის ანგარიშის გახსნის, ანაბრის გახსნის, კრედიტის აღების ან/და კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ, ასევე სადებეტო (ბიზნეს) ბარათების დამზადების, დაბლოკვის, ბარათის განაღდების დღიური ლიმიტის ცვლილების, პოს-ტერმინალის მიღების, ჯგუფური გადახდების, მუდმივი დავალების/ავტომატური გადახდების რეგისტრაციის) ბანკი განიხილავს და დაამუშავებს მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის შესაბამისი შიდა დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან კლიენტის განაცხადების მიღება ხორციელდება 24 საათის განმავლობაში, ხოლო მათი განხილვის/დამუშავებისა და შესრულების დრო დამოკიდებულია როგორც ბანკის სამუშაო სპეციფიკაზე, ისე მიღებული განაცხადის შინაარსსა და მოთხოვნილი პროდუქტის სახეობაზე. განაცხადზე დასტური ან უარი კლიენტს ეცნობება ინტერნეტ-ბანკის სისტემის შეტყობინების საშუალებით ან სხვა საკომუნიკაციო არხით.

10.2. ანგარიშის გახსნის შესახებ ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით საბანკო დღის 18:00 საათამდე გამოგზავნილი განაცხადი ბანკის მიერ განიხილება და შესრულდება იმავე საბანკო დღეს, ხოლო 18:00 საათის შემდგომ და არასაბანკო დღეებში გამოგზავნილი განაცხადის ბანკის მიერ განხილვა და კლიენტისათვის ანგარიშის გახსნა იწარმოებს არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღის.

10.3. ანაბრის გახსნის შესახებ ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით სამუშაო დღის 22:00 საათამდე გამოგზავნილი განაცხადი ბანკის მიერ განიხილება და შესრულდება იმავე სამუშაო დღეს, ხოლო 22:00 საათის შემდგომ და არასამუშაო დღეებში გამოგზავნილი განაცხადის ბანკის მიერ განხილვა და კლიენტისათვის ანაბრის გახსნა იწარმოებს მომდევნო სამუშაო დღეს.

10.4. ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან კლიენტისთვის ახალი ანგარიშების გახსნა არ წარმოებს, თუ განაცხადი სისტემიდან გამოგზავნილია არასათანადო უფლების მქონე მომხმარებლის მიერ და/ან არ არის ავტორიზებული;

10.5. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში საბანკო კრედიტების წინსწრებით დაფარვის განაცხადების მიღება ხორციელდება 24 საათის განმავლობაში. კრედიტის წინსწრებით დაფარვის ოპერაცია სრულდება ავტომატურად თუ კლიენტის მიერ წინსწრებით დასაფარი თანხა არ აღემატება ყოველთვიური შენატანის ხუთმაგ ოდენობას. კრედიტის სრულად ან/და ყოველთვიური შენატანის ხუთმაგ ოდენობაზე მეტი თანხით დაფარვის შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის ოპერაციას ასრულებს საკრედიტო ადმინისტრირების სამმართველოს მენეჯერი. ასეთ შემთხვევაში, ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით საბანკო დღის 18:00 საათამდე გამოგზავნილი განაცხადი ბანკის მიერ განიხილება და შესრულდება იმავე საბანკო დღეს, ხოლო 18:00 საათის შემდგომ და არასაბანკო დღეებში გამოგზავნილი განაცხადის ბანკის მიერ განხილვა და კრედიტის წინსწრებით დაფარვა განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს, შესრულების თარიღით დაანგარიშებული დავალიანების გათვალისწინებით. ბანკის ინტერნეტ-ბანკის სისტემაში და/ან ასს-ში წარმოშობილი ტექნიკური ხარვეზის გამო შესაძლოა საკრედიტო ადმინისტრირების სამმართველოს მენეჯერების მიერ განხორციელდეს კრედიტის წინსწრებით დაფარვის ოპერაცია.

10.6. თუ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში, კლიენტის მიერ გამოგზავნილია საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვის განაცხადი და ბანკის მიერ მოხდა კლიენტთან დამატებითი შეთანხმების მიღწევა, კლიენტის მიერ დისტანციური არხებიდან გამოგზავნილი შეტყობინების (თანხმობის) საფუძველზე ბანკი მოქმედებს კლიენტისგან მიღებული დავალების შესაბამისად.

10.7. მომხმარებლის მიერ ბანკში გამოგზავნილი ნებისმიერი დოკუმენტი ინახება პირვანდელი სახით.

11. SMS/ელ-ფოსტით შეტყობინებით მომსახურება

11.1. ბანკი SMS მომსახურების საშუალებით, კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აცნობებს კლიენტს ინფორმაციას მის ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ, უზრუნველყოფს შეტყობინებებს ბანკის მიმართ არსებული/წარმოშობილი დავალიანების ოდენობის და გადახდის ვადების შესახებ და სხვა ინფორმაციის მატარებელ შეტყობინებებს.

11.2. კლიენტი ვალდებულია, მობილური ტელეფონის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს კონტაქტ-ცენტრის საშუალებით ან წინამდებარე პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა ფორმით. ბანკი ამგვარი შეტყობინების საფუძველზე, უზრუნველყოფს SMS მომსახურების შეჩერებას (ინტერნეტ-ბანკის სისტემის დაბლოკვის მეშვეობით) მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში, კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება კოდური სიტყვის ან ბანკის მიერ განსაზღვრული იდენტიფიკაციის სხვა საშუალებით, მისი უფლებამოსილების დადგენის საფუძველზე.

11.3. ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელს საშუალება ეძლევა თავად მართოს SMS მომსახურება ინტერნეტ-ბანკის სისტემაში და აირჩიოს მისთვის სასურველი შეტყობინების მიღება, ასევე შეცვალოს ნებისმიერ დროს არჩეული სერვისები.

11.4. ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებელს საშუალება ეძლევა სისტემაში თავად განსაზღვროს ელ-ფოსტით შეტყობინებების მიღების სერვისი და აირჩიოს მისთვის სასურველი შეტყობინების მიღება, ასევე შეცვალოს ნებისმიერ დროს არჩეული სერვისები.

12. მუდმივი დავალება/ავტომატური გადახდები

12.1. მუდმივი საგადახდო დავალების/ავტომატური გადახდების სერვისის მეშვეობით კლიენტს ეძლევა საშუალება გარკვეული მოქმედების ვადით მისცეს ბანკს წინასწარი დავალება, რომლის საფუძველზეც ბანკი განხორციელებს სხვადასხვა სახის გადახდებს ამ დავალებაში მითითებული პირობებით და პერიოდულობით. ასეთი მომსახურება მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს ბანკში მიუსვლელად აწარმოოს კონკრეტული ანგარიშიდან/ანგარიშზე ან კონკრეტულ მიმღებზე თანხების (მაგ: ანაბრის შევსება, კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა და სხვა) პერიოდულად გადარიცხვა.

12.2. მუდმივი საგადახდო დავალების/ავტომატური გადახდების სერვისის რეგისტრაცია/გააქტიურება, მოდიფიკაცია ან გაუქმება შესაძლებელია ინტერნეტ-ბანკის სისტემის მეშვეობით.

13. თავდაცვის ზომები:

13.1. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში შესვლამდე აუცილებლად დარწმუნდით, რომ შედიხართ ბანკის სპეციალურ ინტერნეტ-გვერდზე: <https://myhalyk.ge> ან/და სარგებლობთ ბანკის მობილ ბანკის აპლიკაციით, რომელიც ხელმისაწვდომია ოპერაციული სისტემების ინტერნეტ მაღაზიებში - Google Play, App Store.

13.2. არავის გაანდოთ თქვენი ინტერნეტ-ბანკის სისტემის მომხმარებლის სახელი, პაროლი, არ შეინახოთ ეს მონაცემები კომპიუტერში, ინტერნეტში ან მობილურში პაროლით დაუცველ ფაილებში.

13.3. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ საერთო მომხმარებლის კომპიუტერებთან მუშაობისას. ინტერნეტ-ბანკის სისტემაში მუშაობის დასრულების შემდეგ შეეცადეთ გამოხვიდეთ პროგრამიდან მხოლოდ „გამოსვლა“ ღილაკზე დაჭერით.

13.4. არ დატოვოთ კომპიუტერი/მობილური ტელეფონი უკონტროლოდ, თუ თქვენ შესული ხართ ინტერნეტ-ბანკის სისტემაში.

13.5. არ გააგზავნოთ კონფიდენციალური ინფორმაცია ელ. ფოსტით. ბანკი არასდროს მოგთხოვთ თქვენი პირადი და უსაფრთხოების ინფორმაციის, პაროლის ან ანგარიშების ინფორმაციის სრულად გაგზავნას ელ. ფოსტით.

13.6. თუ თქვენ თავს გრძნობთ საფრთხის წინაშე, დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით.

13.7. თუ თქვენ ელ. ფოსტით მიიღეთ საეჭვო წერილი, რომელიც ირწმუნება, რომ სს „ხალიკ ბანკი საქართველო“-სგან არის გამოგზავნილი, გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ.